ახალი ხარაგაული

359 (18) 17 აგვისტო, 2017 წ

ახალგაზრდებთან შეხვედრა -ხარაგაულის უკეთესი ხვალინდელი დღის ორიენტირი

ქვეყნის საიმედო მომავალს ახალგაზრდობა კვეთს და, ბუნებრივია, მათი აზრების, მისწრაფებებისა და შენიშვნების გათვალისწინებას ხელმძღვანელი პიროვნების სამოქმედო პროგრამაში საყურადღებო ადგილი უნდა ეჭიროს. მისასალმებელია, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტის გამგებლის, ბატონ **ნიკოლოზ თოფურიძის** მუშაობის საზრისი, სწორედ ახალგაზრდობასთან სიახლოვეს, მათი შეხედულებების გაზიარებას და ერთობლივად შეჯერებული გადაწყვეტილებების განხორციელებას ეფუძნება. ყოველივე ამის დასტური გახლდათ გამგებლის ახალგაზრდებთან შეხვედრა, რომელიც ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკის ინოვაციების ცენტრში გაიმართა.

ნიკოლოზ თოფურიძემ მსმენელთა წინაშე მოახდინა მის მიერ გაწეული საქმიანობის მოკლე ინფორმირება, ისაუბრა სადღეისო და სამომავლო უმნიშვნელოვანეს ამოცანებზე და ყურადღებით მოისმინა ყველა საკითხი თუ წინადადება, რაც მათი მხრიდან წამოვიდა.

შეხვედრა კითხვა – პასუხის რეჟიმში წარიმართა და ახალგაზრდებმა ყურადღება გაამახვილეს იმ პრიორიტეტებსა და პრობლემებზე, რომლებიც, მათი აზრით, აქტუალურია მუნიციპალიტეტის მასშტაბით და ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან ყურადღებას მოითხოვს. მათი მიზანია, მუნიციპალიტეტმა ხელი შეუწყოს სპორტის ისეთი სახეობების განვითარებას, რომლის პოტენციალიც ხარაგაულს გააჩნია. გამგებელმა განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხზე გარკვეული ნაბიჯებია გადადგმული და უახლოეს მომავალში რაგბი, კალათბურთი და ქართული ჭიდაობა უფრო მეტად განვითარდება.

შეხვედრის მონაწილეებმა ასევე აღნიშნეს, რომ აუცილებელია მოხდეს ხარაგაულის ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია და მოეწყოს ბავშვებისათვის გასართობი მოედნები და ატრაქციონები. როგორც **ნიკოლოზ თოფურიძე** ამბობს, ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობს და პრობლემა აუცილებლად გადაიჭრება.

„ხარაგაულში ჩემი მუშაობის დაწყების მომენტიდან ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია ჩაისვა გეგმაში, მაგრამ ინფრასტრუქტურის სამინისტროდან განგვიმარტეს, რომ პრიორიტეტი საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის უნდა მიგვენიჭებინა და ამიტომ მოხდა ამ საკითხის დროებით შეყოვნება. რეგიონული განვითარების ფონდიდან მოგვცეს პირობა, რომ ხარაგაულში ერთ-ერთი გამორჩეული პარკი გვექნება,“-განმარტა გამგებელმა.

შეხვედრის მიმდინარეობისას საუბარი შეეხო ხარაგაულის კულტურულ ცხოვრებას და აღინიშნა, რომ ამ მხრივ მუნიციპალიტეტში საკმაოდ კარგი ვითარებაა. ახალგაზრდები მიიჩნევენ, რომ რიგი კულტურული სფეროს ა(ა)იპ-ები თვითდაფინანსებაზე უნდა გადავიდნენ, რათა ბიუჯეტში გარკვეულ მიმართულებებზე თანხების გამოთავისუფლება მოხდეს. მათი აზრით სპექტაკლები და კონცერტები ფასიანი უნდა იყოს.

შეხვედრა, რომელიც, დაახლოებით, სამ საათს გრძელდებოდა, მეტად ნაყოფიერი იყო თავისი ფორმითა და შინაარსით. **ნიკოლოზ თოფურიძემ** ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახალგაზრდების მიერ დაყენებულ წინადადებებსა და შეხედულებებს ადგილობრივი ხელისუფლება აუცილებლად გაითვალისწინებს. გამგებელი ამბობს, რომ ახალგაზრდების ინიციატივების რეალიზება მისი საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტია და ამ მიმართულებით მეტი აქტივობები დაიგეგმება.

შეხვედრის მონაწილეები თვლიან, რომ ასეთი ფორმატის შეხვედრები იძლევა იმის საფუძველს, ხარაგაულს უფრო ლამაზი, საინტერესო და პერსპექტიული ხვალინდელი დღე ჰქონდეს.

ხარაგაულში აგვისტოს ომში დაღუპულ გმირს, ზაზა გლუნჩაძეს, პატივი მიაგეს

2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომიდან 9 წელი გავიდა. რუსული ინტერვენციის შედეგად საქართველოს 228 მშვიდობიანი მოქალაქე, 14 პოლიციელი და 169 სამხედრო დაიღუპა. საომარი მოქმედებების დროს სამშობლოს ერთიანობას საკუთარი სიცოცხლე შესწირა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდრის მკვიდრმა **ზაზა გლუნჩაძემ**, რომელიც ცხინვალში თანამებრძოლთა გადარჩენის მცდელობის დროს გმირულად დაიღუპა. მას მეუღლე და ორი შვილი დარჩა. გარდაცვალების შემდეგ **ზაზა გლუნჩაძე** ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

8 აგვისტოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეებმა: **არჩილ მაღრაძემ** და **თემურ ჩხეიძემ,** ხიდრის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ნონა ზურაბიანმა** და გამგებლის წარმომადგენელმა **ბადრი ბერაძემ ზაზა გლუნჩაძის** ხსოვნას პატივი მიაგეს და რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად დაღუპული გმირის საფლავი ყვავილებით შეამკეს. საფლავზე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ოჯახის წევრებიც იმყოფებოდნენ, რომლებმაც კიდევ ერთხელ გაიხსენეს აგვისტოს დღეთა ის მძიმე წუთები, როდესაც ზაზას ურეკავდნენ, ის კი არ პასუხობდა... რა იცოდნენ, რომ ზაზას უკვე თავისი სიცოცხლე ჰქონდა შეწირული სამშობლოსათვის, მის სულში ხომ ესოდენ მძლავრობდა სხვათა თანადგომისა და მამულის სიყვარულის გრძნობა.

დაღუპული გმირის ოჯახს ადგილობრივი ბიუჯეტიდან ერთჯერადი ფულადი დახმარება 500 ლარის ოდენობით გადაეცა.

ზაზა გლუნჩაძე სამხედრო სამსახურში 2007 წლიდან მსახურობდა. აღსანიშნავია, რომ ზაზასთან ერთად ომში მისი ძმა **ზვიად გლუნჩაძეც** იბრძოდა. ღვთის წყალობით ზვიადი ოჯახს მშვიდობით დაუბრუნდა.

გამგებლის პირველმა მოადგილემ, არჩილ მაღრაძემ, ფარცხნალში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მოინახულა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ, **არჩილ მაღრაძემ,** ფარცხნალში აკადემიკოს ევგენი ხარაძის სახლამდე მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მოინახულა. გზის აღნიშნულ მონაკვეთზე ბეტონის საფარი არასდროს ყოფილა და წვიმიან ამინდში ადგილობრივებს გადაადგილება უძნელდებოდათ. პროექტის ფარგლებში ბეტონის საფარი გზის 984 მეტრზე მოეწყობა. სამშენებლო სამუშაოები რეგიონული განვითარების ფონდიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 176 000 ლარია. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „დავითი " ასრულებს, რომელიც ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად, მიმდინარე წლის სექტემბერში უნდა დასრულდეს.

ᲐᲦᲒᲘᲚᲝᲜᲖᲘᲗᲘ ᲬᲔᲚᲘᲡᲬᲘᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ ᲥᲘᲠᲣᲚᲐ-ᲮᲐᲠᲐ�გᲐᲣᲚᲘ-ᲩᲣᲛᲐᲗᲔᲚᲔᲗᲘᲡ �გᲖᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲯᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲐ

როგორც ცნობილია, ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის გზის 50 კმ-იან მონაკვეთზე საპროექტო სამუშაოებს კომპანია „კოქსი“ ასრულებს. აღნიშნული კომპანიის კონსულტანტებმა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან 10 აგვისტოს მორიგი შეხვედრა გამართეს. შეხვედრას, რომლის ძირითად მიზანს განსახლების საკითხებთან დაკავშირებული პროცედურები წარმოადგენდა, მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე **არჩილ მაღრაძე,** ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **ჯაბა ბერაძე** და გამგებლის წარმომადგენლები დაესწრნენ. როგორც „კოქსის“ დირექტორმა განმარტა, პროექტის პირველი ნაწილი, რომელიც გზის 24 კილომეტრს მოიცავდა, დასრულებულია და ამჯერად სამუშაოები აქტიურ ფაზაში მეორე მონაკვეთზე, მოლითი-ჩუმათელეთის ტერიტორიაზეა. „კოქსის“ კონსულტანტი სოციალურ საკითხებში **სოსო გოგოძე** ამბობს, რომ იმ ოჯახების დოკუმენტაცია, რომლებიც პირველ სექციაში პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვდნენ, გზების დეპარტამენტისა და აზიის განვითარების სპეციალისტების განხილვის ქვეშაა და უახლოეს მომავალში მათ საბოლოო შედეგები ეცნობებათ.

რაც შეეხება გზის მეორე ნაწილის საპროექტო სამუშაოებს, ბატონმა სოსომ ინფორმაცია დამსწრე საზოგადოებას პრეზენტაციის სახით წარუდგინა. **გოგოძე** ამბობს, რომ ამ მონაკვეთში განსახლების გეგმაში 84 ოჯახი მოჰყვება და დაზარალებულებს დეტალურ ინფორმაციას პირადად მიაწვდიან. მისივე თქმით, აზიის განვითარების ბანკის მოთხოვნაა ქონების შეფასება მოახდინოს დამოუკი-

გაგრძელება ▶ 2 გვ.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

„როდემდის დაგვრჩეს ეგ ტკივილი გულში?“

წიწამურის ტრაგედია თითოეული ჩვენგანის სულის უკურნებელი ჭრილობაა. 1907 წლის 30 აგვისტოს წიწამურთან ავაზაკურად გასროლილმა ტყვიამ საქართველოსა და ყველა ქართველის გულში გაიარა...

„მზეს ქარიშხალმა დაასწრო მოსვლა,
შემოახია ხეებს სამოსი...
წიწამურის გზით წამოსულ მგოსანს,
ახლაც ელიან საგურამოში...“

პოეტ ლილი ნუცუბიძის ამ სტრიქონებში არეკლილია ის დიდი სიყვარული და მონატრება ილია ჭავჭავაძის - ერის მამის - ფიზიკურ განშორებას რომ უკავშირდება. თუმც ერისთვის ულევი სულიერი საზრდოს მიმნიჭებელი დიდი ილია „მარად და ყველგან“ სამშობლოსთანაა, ის ერისა და ქვეყნის „თანამდევი უკვდავი სულია“ და მის შემოქმედებასთან, მის იდეებთან ურთიერთობა ისევე მარადიულია, როგორც საქართველო იყო ილიასათვის.

* * *

10 წლის წინათ, 2007 წელს, ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრის ნიჭიერმა რეჟისორმა, ქალბატონმა ირინე ჩხეიძემ, ფრთა შეასხა თავის ოცნებას, რომ სპექტაკლით აემეტყველებინა ილიას იდეები, მისი ფიქრები ერის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე. ეს ჩანაფიქრი ბრწყინვალე რეჟისორული უნარითა და სცენური ოსტატობით განხორციელდა სპექტაკლში „თანამდევი სული.“

სპექტაკლის აღიარებაზე მეტყველებს მოპოვებული ჯილდოები: 2012 წელს იმერეთის თეატრალური ფესტივალის გრან - პრი, 2013 წელს თურქეთში ქემერის ფესტივალის გრან - პრი. სპექტაკლმა მოიარა საქართველოს ქალაქები და სოფლები. ილიას იუბილეზე ნაჩვენები იქნა ყვარელში, ჭუბერში, სასაზღვრო სოფელ მერეთში... სპექტაკლი გასცდა საქართველოს ფარგლებს - მოხიბლა მაყურებელი ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში, წარმატებული გახდა ლატვიის თეატრალურ ფესტივალზე და ა.შ. საყურადღებოა, რომ აჭარის ტელევიზია - საზოგადოებრივი მაუწყებელი პროექტის ფარგლებში „ტელესპექტაკლი“ სექტემბერში ჩაწერს სპექტაკლ „თანამდევ სულს.“

აღნიშნული სპექტაკლისა და თეატრის ისტორიაში გამორჩეულად ჩაიწერება 2017 წლის 2 აგვისტო, როცა საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახლ - მუზეუმის ეზოში „ილიაობაზე“ ნაჩვენები იქნა ფრაგმენტები „თანამდევი სულიდან.“

* * *

„ილიაობის“ აღნიშვნის ტრადიცია 2014 წლიდან განახლებული ფორმატით მიმდინარეობს. ამ დღეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონი „მასპინძლობს“ სტუმრებს საგურამოს სახლ - მუზეუმში. ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან ილია ერთიანი საქართველოს სიმბოლოა, ხოლო მისი სახლი სრულიად საქართველოს სახლია. აჭარის, სამეგრელოსა და აფხაზეთის შემდეგ, წელს მასპინძლობა იმერეთს ხვდა წილად. აქ შეკრებილან: მეცნიერები, მწერლები, პოეტები, კულტურისა და ხელოვნების ცნობილი მოღვაწეები თითქმის მთელი საქართველოდან. „ილიაობას“ ესწრებიან: იმერეთის სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი გივი ჭიჭინაძე, ვიცე- გუბერ-

ნატორი პაატა ნადირაძე, გუბერნატორის მოადგილე იოსებ ხახალეიშვილი, საქართველოს პარლამენტის იმერეთის რეგიონის მაჟორიტარი დეპუტატები, მცხეთა - მთიანეთის გუბერნატორი ლევან ზაუტაშვილი...

აგუგუნდა „ჩემო კარგო ქვეყანავ“! (ქუთაისის სახელმწიფო ანსამბლი), შემდეგ კი სცენა ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრის სპექტაკლს დაეთმო. „თანამდევი სული“ ორი ფრაგმენტით წარუდგინეს ხარაგაულელება დამსწრე საზოგადოებას.

სცენარში ილიას საპროგრამო თხზულების, „მგზავრის წერილების,“ შესავალ ნაწილს საკუთარი რეჟისორული გააზრება მისცა ქალბატონმა ირინე ჩხეიძემ. დიალოგი აქ ილიასა (ბათუ კიკნაძე) და მგზავრ ქალბატონს (ირინე ჩხეიძე) შორის მიმდინარეობს. სრული დატვირთვითაა გააზრებული ილიას მიერ რუსეთში გატარებული ოთხი წელი, თერგისა და მყინვარის, დღისა და ღამის დაპირისპირება. ალბათ, თვით ილიაც აღფრთოვანდებოდა, რომ სცენაზე ჭეშმარიტად თავისი „ორეული,“ ბათუ კიკნაძე, ეხილა. საოცარი ჟღერადობით გაისმა ილიასადმი მიმართული მგზავრი ქალბატონის სიტყვები: „ბედნიერია ის ერი, რომელსაც თქვენნაირი შვილი ჰყავს!“

ილია ეძებს, ეძებს ისეთ კაცს, რომელსაც „ძილშიაც არა სძინავს ქვეყნის უბედურებით გულ- აღტყინებულსა.“ და სწორედ ასეთი კაცი შეხვდა მოხევე ლელთ ღუნიას (ნიკოლოზ წიკლაური) სახით. „ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს.“ მაყურებელმა თითქოს სუნთქვა შეწყვიტა, შემდეგ კი მოზღვავებული ემოცია მოხევის როლის უბადლო შესრულების გამო საოცარი აღფრთოვანებითა და მოწონებით გამოხატა.

დიდხანს არ განშორდება საგურამოს იმდღევანდელ სტუმარ-მასპინძლებს მეხსიერებიდან ის მომენტი, როცა სპექტაკლიდან ილია - ბათუ კითხულობს „ბედნიერ ერს.“

„ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
ყველა უნჯი,
ყველა მუნჯი,
გულჩვილი და ლმობიერი...
მტრის არმცნობი,
მოყვრის მგმობი
გარეთ მხდალი, შინ ძლიერი...“

ამ სიტყვებსა და სამშობლოს ბედზე სმენამიპყრობილ მოხევესთან საუბარს მოჰყვება ილიას დასკვნა: „მიგიხვდი, ჩემო მოხევევ, რა ნესტარითა ხარ ნაჩხვლეტი. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“ - სთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩამირბინა, იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის?.. ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამისი პასუხი!..“ საოცარი ჟღერადობა ჰქონდა ერისკაცის ეზოში ამ სიტყვებს, რომლითაც ილიას დაბადების საიუბილეო ასმეოთხმოცე წლის „ილიაობაზე“ კიდევ ერთხელ იგრძნო მაყურებელმა, რომ ილია მარად თანამედროვეა, რომ ეს მტკივნეული კითხვა ქართველთათვის ჯერაც არაა პასუხგაცემული.

ილიას ცხოვრებისა და შემოქმედების ასეთი ნიჭიერებით გაგზრება - გარდასახვას მოჰყვა ცნობილი ადამიანებისაგან მეტად შთამბეჭდავი შეფასებები, რომ ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრი ნამდვილად იყო წლევანდელი „ილიაობის“ ერთ-ერთი ღირსეული მასპინძელი იმერეთიდან.

დაე, არასდროს მოჰკლებოდეთ ნიჭიერ რეჟისორსა და მსახიობს, ქალბატონ ირინე ჩხეიძეს, თეატრის დასს, აღიარება, წარმატება და შემოქმედებითი სიმაღლეებისაკენ სვლა.

მერი გიორგიძე

დეპუტატებმა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში დადებითად შეაფასეს

7 აგვისტოს საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელზეც დეპუტატებმა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ (თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილი) გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში მოისმინეს. საანგარიშო პერიოდი მოიცავდა საქმიანობას 2016 წლის ივლისიდან დღემდე. **ვარლამ ჭიპაშვილმა** დაწვრილებით ისაუბრა კომისიის უფლებამოსილებისა და საქმიანობის შესახებ. ასევე ყურადღება გაამახვილა გაცემულ რეკომენდაციებსა და შენიშვნებზე. ანგარიშის მოსმენის შემდეგ **ინგა მაღრაძემ** აღნიშნა, რომ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე იმ საკითხებზე საუბრობს, რომლებსაც წლების განმავლობაში არ იზიარებდა. მაღრაძე ყოველივეს დაგვიანებულად მიიჩნევს და ამბობს, რომ დამდგარი შედეგის

გამოსწორება სხვებს მოუწევთ. ღეღვნის მაჟორიტარი დეპუტატი ასევე ინტერესდება, თუ რა სახით მიიღებს ფინანსთა სამინისტროდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტი დამატებით დაფინანსებას, რომელიც კომისიის სხდომაზე საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა გააჟღერა. **ვარლამ ჭიპაშვილი** ინგა მაღრაძის საუბარს პოპულისტურს უწოდებს და აღნიშნავს, რომ საკრებულოს სხდომაზე არაერთხელ გამოსულა კრიტიკული განცხადებებით, თუმცა, საბოლოოდ, გადაწყვეტილებას დამსწრეთა უმრავლესობა იღებდა.

რაც შეეხება ფინანსთა სამინისტროდან დამატებითი თანხების გამოყოფას, ჭიპაშვილი ამბობს, რომ ამის კანონიერი გზა, ალბათ, გამოინახება.

საღანძილის მაჟორიტარი დეპუტატი, **დავით კიკნაძე**,კომისიის მუშაობას დადებითად აფასებს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კომისია ყოველთვის რეგლამენტის დაცვით მუშაობდა, ყოველივე ეს კი თავმჯდომარის დამსახურებაა.

დეპუტატი **კობა გოგსაძე** თვლის, რომ ამ მოწვევის საკრებულოში თუ რომელიმე კომისია მუშაობს, ერთ-ერთი საფინანსო - საბიუჯეტოა. დეპუტატი **ვარლამ ჭიპაშვილის** საქმიანობას კი წარმატებულს უწოდებს.

ხუნევის მაჟორიტარმა დეპუტატმა, **ლენა აბაშიძემ,** საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე პუნქტუალურ და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე პიროვნებად დაახასიათა.

რომან შერგელაშვილი ამბობს, რომ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე პერსპექტიული ახალგაზრდაა, რომელმაც ადვილად გაითავისა პასუხისმგებლობები.

ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე **შალვა ლურსმანაშვილი** მიიჩნევს, რომ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის საქმიანობა ნამდვილად ნაყოფიერია.

დეპუტატების უმრავლესობა ერთხმად აღნიშნავს, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წარმატებულ მუშაობას და ანგარიშს დადებითად აფასებს.

შეგახსენებთ, რომ ამ მოწვევის საკრებულოში ზემოხსენებული კომისიის ანგარიში ბოლო გახლდათ.

თამარ მაღრაძე

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ძირულა-ხარაგაული-ჩუმათელეთის გზის პროექტანტებს შეხვდნენ

დასაწყისი ▶ 1 გვ.

დებელმა ექსპერტმა და არა სახელმწიფო დაქვემდებარებაში არსებულმა. რაც შეეხება კომპენსაციის პირობებს, „კოქსის“ კონსულტანტი განმარტავს, რომ ამ მიზნით საქმიანობის საფუძველი არის საქართველოს კანონმდებლობა, აზიის განვითარების ბანკის სახელმძღვანელო და საერთაშორისო ხელშეკრულება. სოსო გოგოძე, აქვე აღნიშნავს, რომ დევნილები, ინვალიდები, მარჩენალდაკარგული და სოციალურად დაუცველი ოჯახები კომპენსაციის გარდა დამატებით თანხებს მიიღებენ. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, საკარმიდამო და კომერციული მიწა, ფასდება საბაზრო ღირებულებით. შეფასდება ასევე პირის მფლობელობაში არსებული ხეხილი, მისი სახეობისა და ასაკის მიხედვით. შენობა - ნაგებობები- საცხოვრებელი სახლი, დამხმარე ნაგებობა, ფასდება ინდივიდუალურად, აღდგენითი ღირებულებით. ერთწლიანი კულტურის მოსავალი შეფასდება მრავალწლიანი საშუალო მოსავლიანობის გათვალისწინებით, საბითუმო საბაზრო ფასით. ბიზნესი, რომელიც მოხვდება სამუშაო ზოლში, იქნება კომპენსირებული. ანაზღაურდება საწარმოს მუშაკთა ხელფასები და მოგება. პროექტში გათვალისწინებულია შემწეობებისა და დახმარების პაკეტებიც, რომლებიც განისაზღვრება ზემოქმედების სიმძაფრის მიხედვით, (მაგ. შემოსავლების 10%-ზე მეტის დანაკარგი), ასევე იქნება დახმარებები ადგილმონაცვლეობისას და ერთჯერადი სოციალური შემწეობები,“-განმარტავს სოსო გოგოძე.

ბაზალეთის მაჟორიტარი დეპუტატი, **ვარლამ ჭიპაშვილი,** მიიჩნევს, რომ ძირულა-ჩუმათელეთის გზის ახალი მაგისტრალი დაბის ტერიტორიაზე არ უნდა გავიდეს და აუცილებელია, შემოვლითი გზა გაკეთდეს. დეპუტატი თვლის, რომ თუკი ეს წინადადება გათვალისწინებული არ იქნება, პრობლემები შეექმნება, როგორც მოსახლეობას, ისე დაბის ქუჩებს, რადგან ცენტრალური გზა მძიმე ტექნიკის გამო დაზიანებულია და დამატებით დატვირთვას ვეღარ გაუძლებს. ჭიპაშვილი ამბობს, რომ ბაზალეთის ტერიტორიაზე არის ალტერნატიული გზა, სადაც შესაძლებელია, მაგისტრალი გავიდეს და დაბის მოსახლეობაც დამატებითი საფრთხეების წინაშე არ აღმოჩნდეს.

ძირულა-ჩუმათელეთის გზის 50 კმ-იანი მონაკვეთის დაბის ტერიტორიაზე გავლის წინააღმდეგია მუნიციპალიტეტის გამგებელი, **ნიკოლოზ თოფურიძე.** როგორც გამგებელი განმარტავს, საავტომობილო გზების დეპარტამენტთან ამ საკითხის განხილვას პირადად აპირებს.

სოსო გოგოძე ამბობს, რომ აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაბაში არანაირი ზემოქმედება არ მოხდება და ყოველივე იმავე ფორმატში დარჩება. „ახალი მაგისტრალი ხარაგაულის შემოსასვლელამდე მოვა და შემდგომ რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიიდან გაგრძელდება. საკითხი, საინჟინრო თვალსაზრისით, ძალიან რთულია და სხვა გამოსავალი ამ ეტაპზე არ არსებობს. შემდგომ ხარაგაულის ასაქცევ გზას მოიფიქრებენ, თუ გვირაბებს გააკეთებენ - ეს ჯერ ცნობილი არაა.“ - განმარტავს პროექტის პრეზენტატორი.

კომპანია „კოქსის“ წარმომადგენლებმა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებს პროექტის განხილვაში აქტიური მონაწილეობისათვის მადლობა გადაუხადეს და ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ პროცედურებზე გვერდით დგომა სთხოვეს. მათი ინფორმაციით, დეტალური ინვენტარიზაცია, ქონებისა და მოსახლეობის აღწერა, რომელიც მოჰყვება ზემოქმედების ქვეშ, სავარაუდოდ, სექტემბრის დასაწყისში დაიწყება.

შეგახსენებთ, რომ ძირულა-ხარაგაული-ჩუმათელეთის გზის საპროექტო პარამეტრები ასეთია - 50 კმ-იანი მონაკვეთი იქნება 2 ზოლიანი, თითო ზოლის სიგანე იქნება 3 მ, ხოლო სავალი ნაწილის სიგანე 6 მ.

აღნიშნულ გზაზე სამშენებლო სამუშაოები სავარაუდოდ წლის ბოლომდე დაიწყება.

ეკა შავიძე

შემოგვიერთდით ყველა - ვისაც სამშობლო გიყვართ!..

5 აგვისტო, შაბათის ადრიანი დილა, გამგეობის შენობის წინ უკვე გველოდება ავტობუსი, რომლის საჭესაც გულისხმიერი მძღოლი, გელა ლურსმანაშვილი, მართავს. მეორე ავტობუსი, ჩვენი გამგზავრების დროსთან შეთანხმებით, თბილისიდან აიღებს გეზს ახალციხისაკენ. იქ, განახლებული ისტორიული რაბათის ციტადელზე, პროექტით „ჩემი საქართველო აქ არის!“ ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი, მისი უნიჭიერესი შემოქმედი, ყველა ხარაგაულელის (და არა მარტო ხარაგაულელის) საამაყო ქალბატონი იზა ვეფხვაძე მართავს აღნიშნული პროექტით მესამე სპექტაკლს „მე წავალ, მაგრამ სამუდამოდ თქვენთან დავრჩები,“ რომელიც რეზო თაბუკაშვილის ამაღლებულ ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეძღვნება.

60-მდე საავტორო სპექტაკლის ავტორის ეს არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა. აგვისტოს პირველი რიცხვებიდან იწყება სახელოვანი მამულიშვილის, რეზო თაბუკაშვილის, საიუბილეო დღეები. დიდი რეზო თაბუკაშვილი 90 წლის წინათ, 1927 წლის 2 აგვისტოს მოევლინა სამყაროს და 1990 წლის 3 აგვისტოს პირნათელი და ვალმოხდილი შეუერთდა მარადისობას. სპექტაკლს სხვა დატვირთვაც ჰქონდა. სწორედ ახალციხის მკვიდრია ის პიროვნება, რომელიც რეზო თაბუკაშვილმა „დაუბრუნა“ მშობელ მიწას შორეული იტალიიდან. მან აუსრულა ნატვრა იტალიაში, სოფელ სანტამარინელაში, მოყვასის გადასარჩენად შეწირულ დიდ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, თეოლოგიის დოქტორს, პროფესორ მიხეილ თამარაშვილს, როცა მისი ნეშტი იტალიიდან, ჩივიტავეკიას სასაფლაოდან, დიდუბის პანთეონის სათაყვანო მიწას ჩაახუტა.

53 წლის ასაკში დაღუპული და რეზო თაბუკაშვილის ძალისხმევით „ოცნებაასრულებული“ დიდი მამულიშვილის სამუდამო ძვალშესალაგი დღეს ყველა ქართველის სალოცავია.

და მაინც - რატომ რაბათი?

ძველი სამცხის მთავარ ქალაქსა და სამცხის ათაბაგთა რეზიდენციას წარმოადგენდა შვიდი ჰექტარი ფართობის ტერიტორია, სადაც მდინარე ფოცხოვის ნაპირზე ამოზიდულ მთის წვერზე აგებულა ციხესიმაგრე, რომლის ისტორია IX საუკუნიდან იწყება. XII-XIII საუკუნეებში ციხე ჯაყელების რეზიდენცია გახდა. იგი აღადგინეს და გააფართოეს. სწორედ ამ დროიდან ენაცვლება ძველ „ლომსიას“ ტოპონიმი „ახალციხე.“

თამარაშვილების სამკვიდრო ოდითგან მესხეთი ყოფილა. გადმოცემით, თამარაშვილები ჯავახეთის სოფელ თოკიდან, თამარაძეების გვარიდან, გადმოსულან და ახალციხის რაბათში დასახლებულან, სადაც კათოლიკე მისიონერებს ისინი კათოლიკურ სარწმუნოებაზე მოუქცევიათ.

მიხეილ თამარაშვილის პაპა სოლომონი და მისი წინაპრები საღვინე რუმბების მოკუპვრა - დამზადების დიდი ოსტატები ყოფილან...

სწორედ ამ მიწაზე აიდგა ფეხი მიხეილ თამარაშვილმა (იტალიაში ცნობილი იყო როგორც მიქელ თამარათი). ამ მადლიან მიწაზე გრძელდება მის ახლობელთა და მოგვარეთა სიცოცხლე.

* * *

რაბათის ციტადელის უმშვენიერესი დარბაზი ვერ იტევდა დაინტერესებულ მაყურებელს. სამცხე-ჯავახეთის, თბილისისა და ხარაგაულის ინტელექტუალური მსმენელის წინაშე იზა ვეფხვაძის ღვთიური სიტყვის ძალამ „გააცოცხლა“ ორი დიდი წინაპარი - მიხეილ თამარაშვილი და მისი „ამაყი ჭირისუფალი“ რეზო თაბუკაშვილი, „გააცოცხლა“ რეზოს უმშვენიერესი მეუღლე, ქართველთა ფერია - მედეა ჯაფარიძე, რომლის გულისხმიერება და თანადგომა შეძართებას უძლიერებდა დიდ პატრიოტულ საქმეებთან შეჭიდებულ რაინდს, ხარაგაულის მიწის მკვიდრს, ცნობილი ქართველი პედაგოგის, შალვა თაბუკაშვილის, პირმშოს, რეზო თაბუკაშვილს...

ძვირფასო მკითხველო!

იზა ვეფხვაძის სცენურ შესაძლებლობათა შესახებ ახალი და განსხვავებული სიტყვის თქმას არ ვაპირებთ. ჩვენი სურვილია, უშუალოდ რამდენიმე მაყურებლის შეფასებათა ფრაგმენტები შემოგთავაზოთ:

„ენით ვერ აღვწერ იმ სილამაზეს, რაც დღეს ვნახე, მოვისმინე და განვიცადე. ეს იყო სიტყვისა და სიყვარულის ზეიმი; ნაზი მეტაფორებით გადაჯაჭვული წარსული და აწმყო... შემოგვიერთდით ყველა, ვისაც სამშობლო გიყვართ და თვლით, რომ თქვენი საქართველო იქ არის, სადაც კი ფეხს დაადგამთ ღვთისმშობლის წილხვედრ ამ წმინდა მიწაზე...“ - მანანა ტონია.

„დიდი მადლობა, ქალბატონო იზა, რომ საშვილიშვილო საქმეს აკეთებთ, ამდენ გულმხურვალე პატრიოტს ერთად უყრით თავს და ამოგზაურებთ საქართველოში დიდებული პროექტით „ჩემი საქართველო აქ არის!“ მადლობა თქვენს მშობლებს მამულსა და დიდ წინაპრებზე ასეთი სიძლიერით შეყვარებული შვილის აღზრდისათვის.“-მარინა მოდებაძე.

„რა საოცარი ოსტატობით „გააცოცხლე“ ერის დიდებული ადამიანები ამ სპექტაკლით. ღმერთმა გვიმრავლოს უცხოეთში გაფანტულ ქართველთა საფლავების მომძიებელი ისეთი ჭირისუფალი, როგორიც სულმნათი რეზო თაბუკაშვილი იყო, როგორიც თქვენ ბრძანდებით, დიდ წინაპართა გამცოცხლებელო, ქალბატონო იზა!“ - იზო სანთელაძე.

სპექტაკლს განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა, რადგან მას ესწრებოდნენ მიხეილ თამარაშვილის შთამომავლები. ბატონმა ანზორ და გურამ თამარაშვილებმა მადლობა გადაუხადეს სპექტაკლის ავტორს, ქალბატონ იზა ვეფხვაძეს, ფასდაუდებელი შრომისათვის და შთამბეჭდავი ეპიზოდები გაიხსენეს ბატონ რეზო თაბუკაშვილთან ურთიერთობისა.

P.S. გვინდა, დიდი მადლობა გადავუხადოთ ცნობილ საოპერო ბარიტონს, ამჟამად იტალიაში მოღვაწე ხარაგაულელ (ვერტყვიჭალა) მამუკა ლომიძეს, რომელმაც საკუთარი ინიციატივით დააფინანსა ორი ავტობუსი მგზავრთა ტრანსპორტირებისათვის ხარაგაულიდან და თბილისიდან.

აქვე გაუწყებთ, რომ პროექტით „ჩემი საქართველო აქ არის!“ შემდეგი სპექტაკლი „მთების ბალადა“ გაიმართება სტეფანწმინდაში 19 აგვისტოს, 15:00სთ-ზე. სპექტაკლი ეძღვნება ცნობილ მთამსვლელებს: ალიოშა, სიმონ და ალექსანდრა ჯაფარიძეებს.

ვენერა კიკნაძე
მერი გიორგიძე

კარვების ბანაკს ლეღვანმა უმასპინძლა

უკვე მეოთხე წელია, რაც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრის (დირექტორი ბერიკა თურმანიძე) ორგანიზებით, საზაფხულო ბანაკი ეწყობა. ბანაკში ახალგაზრდებს საშუალება ეძლევათ, შეიძინონ ახალი მეგობრები და მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა შემეცნებით ღონისძიებაში. ამჟერად „გაიცანი ხარაგაულის“ ფარგლებში ბანაკის მონაწილეებმა ლეღვნის ტერიტორიაზე, ულამაზეს ბუნებაში, ორი კვირის განმავლობაში დაიდეს ბინა. კარვების ბანაკი წელს 4 ეტაპად განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ ბანაკის მესამე ეტაპი, რომელიც 7 აგვისტოს დაიწყო და 10-ში დასრულდა, დაკომპლექტებული იყო იმერეთის სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებით. საერთო ჯამში ლეღვანში საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტის 45 ბავშვი ისვენებდა.

9 აგვისტოს ახალგაზრდები იმერეთის მხარის რწმუნებულის - გუბერნატორის მოადგილეებმა: **პაატა ნადირაძემ** და **იოსებ ხახალეიშვილმა**, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა **ნიკოლოზ თოფურიძემ,** გამგებლის პირველმა მოადგილემ **არჩილ მაღრაძემ,** კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა **ირინე ჩხეიძემ** და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებმა მოინახულეს. ხელისუფლების წარმომადგენლები ბანაკელებთან ერთად სხვადასხვა სპორტულ აქტივობაში ჩაერთნენ.

ამავე საღამოს ბანაკის ტერიტორიაზე სპეციალურად სტუმრებისთვის უკრავდა ჯაზ-ბენდი „კანუდოსი“, ჯასთან ერთად მუსიკალური ნომრები შეასრულა ხარაგაულელმა **მადონა შველიძემ.**

„მიხარია, რომ ჩვენს ქვეყანას ასეთი ნიჭიერი და წარმატებული თაობა ეზრდება. მე აქ ვხედავ ძალიან ბევრ შემოქმედ ახალგაზრდას, რომლებიც საიმედოდ კვეთენ საქართველოს ხვალინდელი დღის პერსპექტივას. დარწმუნებული ვარ, ბევრმა თქვენგანმა საინტერესო ინფორმაციები მიიღეთ ამ ულამაზესი კუთხის შესახებ. ვისურვებდი, ხარაგაულის ბანაკი მომავალ წელს საქართველოს ბანაკი გახდეს. მადლობა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებსა და „ტურიზმის ცენტრს“ არაჩვეულებრივი დღისათვის“, - აღნიშნა იმერეთის ვიცე-გუბერნატორმა **პაატა ნადირაძემ.**

ახალგაზრდებს მიესალმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი **ნიკოლოზ თოფურიძე.**˝ გვსიამოვნებს, რომ ყოველი თქვენგანის სახეზე კმაყოფილების ღიმილია აღბეჭდილი. გარწმუნებთ, რომ სამომავლოდაც შევეცდებით, ბანაკში გატარებული დღეები წარუშლელად დარჩეს თქვენს მეხსიერებაში.“ - დასძინა გამგებელმა.

ხონის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელს, თამარ ჩოგოვაძეს, ხარაგაული ძალიან მოეწონა, განსაკუთრებით წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მასში ლეღვნის საოცარმა ბუნებამ. თამარი მიიჩნევს, რომ ბანაკში ყველაფერი კარგად ორგანიზებულია და ხელმძღვანელები მაქსიმალურად ცდილობენ, ყოველი დღე დატვირთული იყოს სხვადასხვა გასართობი და შემეცნებითი თამაშებით.

„ტურიზმის ცენტრის˝ დირექტორი, **ბერიკა თურმანიძე**, იმედოვნებს, რომ „გაიცანი ხარაგაული“ მომავალ წელს უფრო ფართო მასშტაბებს შეიძენს. მისივე თქმით, საერთო ჯამში, წელს ახალგაზრდულ ბანაკში 300-მდე ბავშვმა დაისვენა.

თამარ მაღრაძე

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე ბაღების პრობლემებზე იმსჯელეს

4 აგვისტოს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა გაიმართა. კომისიის თავმჯდომარის, **ვარლამ ჭიპაშვილის,** ინფორმაციით, 18 ივლისს საკრებულოს აპარატში ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის **თორნიკე ავალიშვილის** განცხადება შევიდა, რომელშიც ბაღების გაერთიანებაში არსებული ფინანსური პრობლემების მოგვარების გზებზეა საუბარი. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" მიიჩნევს, რომ ა(ა)იპ „ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას“ პრობლემების მოსაგვარებლად 45 ათასი ლარი ესაჭიროება და, თუ რა გზითაა შესაძლებელი აღნიშნული თანხის მოძიება, მითითებულია განცხადებაში. „მოხდეს ბიუჯეტში ცვლილება და შემცირდეს საწვავის ხარჯი 10 000 ლარით; გამგებლის წარმომადგენლობითი ხარჯი- 4 000 ლარით; სარეზერვო ფონდი -14 000 ლარით და მსუბუქი ავტომანქანის შესაძენად გამოყოფილი თანხა 17 000 ლარით. მთლიანობაში ამ მუხლებიდან აღებული 45 000 ლარი გადატანილ იქნეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების ბიუჯეტში.“ - ნათქვამია განცხადებაში. კომისიის სხდომას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი **ნიკოლოზ თოფურიძე,** გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ვლადიმერ გელაშვილი** და სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი **მამუკა ჭიპაშვილი** ესწრებოდნენ. **ვლადიმერ გელაშვილის** განცხადებით, გამგებელი აქტიურად მუშაობს, რათა საბავშვო ბაღების გამართულად ფუნქციონირებისთვის დამატებითი თანხები მოიძიოს. „არის რეალური შანსი იმისა, რომ ფინანსთა სამინისტროდან მივიღოთ დამატებითი ტრანსფერი და სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებისთვის თანხების შევსება ამ გზით მოხდეს, რისთვისაც შემოთავაზებული საბიუჯეტო ცვლილება საჭირო აღარ იქნება.“ - აღნიშნავს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, **ნიკოლოზ თოფურიძე,** განმარტავს, რომ საბავშვო ბაღებში არსებული პრობლემების მოგვარება მისთვის პრიორიტეტია.

„სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებაში ფინანსური პრობლემები აუცილებლად მოგვარდება. მაქსიმუმს გავაკეთებთ, რათა სახელფასო კლება არ მოხდეს და დანაკლისის შევსება დროულად განხორციელდეს. ჩვენი ვალია, თითოეულმა თანამშრომელმა ღირსეულად და დაფასებულად იგრძნოს თავი“, - აცხადებს გამგებელი. **თოფურიძე** ამბობს, რომ მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტში უპრეცედენტო ინფრასტრუქტურული სამუშაოები ხორციელდება, რის გამოც ზედამხედველობის სამსახურს ყოველდღიურად უწევს გადაადგილება და საწვავი არამიზნობრივად არ იხარჯება. „სამუშაოებმა მოიმატა და ხარჯებმაც მოიმატა“, - განმარტავს გამგებელი.

ბაღების გაერთიანების დირექტორი, **მამუკა ჭიპაშვილი,** პრობლემის მოგვარების გზებს ისევ ხელისუფლების დახმარებაში ხედავს და ამბობს, რომ თუ ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხების შევსება მოხდება, ყველაფერი დალაგდება. იგი ასევე განმარტავს, რომ ოქტომბერში ნადაბურში ახალი საბავშვო ბაღი უნდა გაიხსნას.

„ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს პრობლემების აღმოფხვრის გზებზე მსჯელობა. მადლობა მინდა, გადავუხადო როგორც უმრავლესობას, ასევე უმცირესობას, რომ ზრუნავენ ბაღებში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. დღეის მდგომარეობით, ჩვენ მიერ დაზოგილი თანხებით შესაძლებელია სექტემბრიდან თანამშრომლების ხელფასების 10 % -იან კლებამდე მიახლოება.ვიმედოვნებ, რომ მომავალი წლიდან ის 10 % -იანი კლებაც აღარ იქნება და თანამშრომლები აიღებენ იგივე ხელფასს, რაც ჰქონდათ.“- ამბობს მამუკა ჭიპაშვილი.

ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაციით, ნადაბურის საბავშვო ბაღის გახსნისათვის საჭირო თანხები აუცილებლად ჩაერიცხება გაერთიანებას და შემოდგომაზე ის თანხები ექნებათ, რაც სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის სჭირდებათ.

კომისიის თავმჯდომარემ **ვარლამ ჭიპაშვილმა** მადლობა გადაუხადა კოლეგებს აღნიშნულ საკითხში აქტიურად მონაწილეობისათვის და აქვე დასძინა, რომ ყველა ჩვენგანისთვის მნიშვნელოვანია, მოგვარდეს პრობლემები სკოლამდელ დაწესებულებაში.

„ვისურვებდი, რომ მომავალი წლიდან ბაღის თითოეული თანამშრომელი კმაყოფილი იყოს ჩვენ მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით,“- განმარტა კომისიის თავმჯდომარემ.

ლელა გუგულაშვილი

„აბა, დამაცადეთ, თაგუნებო!“ - პრემიერა პატარებისთვის

ხარაგაულის კულტურის ცენტრთან არსებულმა თოჯინების თეატრმა (რეჟისორი ირინე ჩხეიძე), რომელიც 2009 წლიდან ფუნქციონირებს, ადგილობრივი და ხარაგაულში ჩამოსული პატარა სტუმრებისთვის რიგით მეექვსე პრემიერა გამართა.

„აბა, დამაცადეთ, თაგუნებო!“ - სპექტაკლი ეფემ ჩაპოვეცკის მოთხრობის მიხედვით დაიდგა.

სპექტაკლს, ხარაგაულის გამგეობის სოციალური სამსახურის ორგანიზებით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები უფასოდ დაესწრნენ, რომლებიც დიდი ემოციებით ადევნებდნენ თვალყურს ორი თაგუნას-კიწისა და კიკის- თავგადასავალს დეიდა მარინეს სახლში. თაგვებისგან შეწუხებულმა მარტოხელა ქალმა სახლში ფისო მოიყვანა მათ მოსაგერიებლად, მაგრამ ნაცვლად მოგერიებისა, დამეგობრდნენ.

სპექტაკლში მონაწილეობდნენ: ირინე ჩხეიძე, ლუიზა კიკნაძე, მაია ბერაძე, გიორგი ჭიპაშვილი.

ხარაგაულის თოჯინების თეატრი სექტემბერში მონაწილეობას მიიღებს თოჯინების თეატრების ფესტივალში, რომელიც ჭიათურის მუნიციპალიტეტში გაიმართება. წარმატებებს ვუსურვებთ რეჟისორსა და თეატრის შემოქმედებით კოლექტივს. დაე, კვლავ მრავალჯერ მიენიჭებინოთ ჩვენი პატარებისთვის დიდი სიხარული!

ᲚᲔᲚᲐ ᲒᲣᲒᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐᲡ ᲡᲝᲤᲝᲛᲝᲜ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲐᲠᲐᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲜᲐᲙᲕᲔᲗᲘ ᲣᲖᲣᲤᲠᲣᲥᲢᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ

7 აგვისტოს გამართულ საკრებულოს მორიგ სხდომაზე დეპუტატებმა სოლომონ მეფის ქუჩა N50-ში მდებარე 490კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის ა(ა)იპ „ცენტრალური ბიბლიოთეკისათვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის წესით გადაცემის თაობაზე იმსჯელეს. საკითხი მათ ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გააცნო. **ჯაბა ბერაძის** განმარტებით, აღნიშნულ ადგილას ,,ცენტრალური ბიბლიოთეკის" დირექტორი ნიკოლოზ მაჭავარიანი, ღია სამკითხველოს მოწყობას გეგმავს.

დეპუტატი **ინგა მაღრაძე** დაინტერესდა, ამ ტერიტორიაზე ხომ არ იგეგმებოდა კომერციული ფართის გახსნა და მისი კერძო პირზე გადაცემა. დეპუტატმა აქვე დასძინა, რომ არ შეიძლება ყველაფრის დაბაში გაკეთება და საჭიროა სოფლებზე ზრუნვა. მაღრაძე ასევე კითხულობს, თუ რა ფუნქცია ექნება სამომავლოდ ცენტრალური ბიბლიოთეკის ძველ შენობას. **ჯაბა ბერაძის** განმარტებით, ამ ეტაპზე შენობა

მუნიციპალიტეტის ბალანსზეა და არაა გადაწყვეტილი, თუ რა დატვირთვა ექნება აღნიშნულ ფართს. ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი ასევე გამორიცხავს „ცენტრალური ბიბლიოთეკისთვის“ გადაცემულ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე ფიზიკური პირის კომერციულ ინტერესს.

საბოლოოდ, დეპუტატთა გადაწყვეტილებით, ცენტრალურ ბიბლიოთეკას სოლომონ მეფის ქუჩა N50-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი უზუფრუქტის წესით გადაეცა.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲛᲐᲦᲠᲐᲫᲔ

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲔᲑᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასა და ევროკავშირის თანადაფინანსებით მიმდინარე პროექტს „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და DCFTA საქართველოში“ შორის ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომლის საფუძველზეც საქართველოს 5 ქალაქში პალატის DCFTA საინფორმაციო ცენტრები დაარსდა. ქუთაისში, ზუგდიდში, სიღნაღსა და გორში ადგილობრივ მეწარმეებს საშუალება აქვთ, მიიღონ ინფორმაცია იმ მოთხოვნების შესახებ, რომლებიც დადგენილია ევროკავშირის ბაზარზე კონკრეტული პროდუქტების განსათავსებლად. სხვა რეგიონების ინფორმირების მიზნით პალატის მიერ დაარსებული საინფორმაციო ცენტრის ექსპერტები აქტიურად მუშაობენ და

შეხვედრებს მუნიციპალიტეტებში ადგილზე მართავენ. სწორედ მსგავსი ტიპის შეხვედრა გაიმართა 9 აგვისტოს ხარაგაულელ მეწარმეებთან. დამსწრე საზოგადოებას სერვისების შესახებ ინფორმაცია რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატის უფროსმა **ემზარ ღვინიანიძემ** მიაწოდა. DCFTA-ს საინფორმაციო ცენტრის პრეზენტაცია კი საინფორმაციო ცენტრის ექსპერტმა **თათია მერკვილაძემ** წარმოადგინა. როგორც ქალბატონმა თათიამ განმარტა, პროექტი ითვალისწინებს მცირე და საშუალო მეწარმეების ინფორმირებას, თუ როგორ უნდა მოხდეს მათი პროდუქციის ექსპორტი ევროკავშირში. დაინტერესების შემთხვევაში მეწარმეები ასევე მიიღებენ ინფორმაციას ევროკავშირის ქვეყნებში ქართული პროდუქციის ექსპორტის მხარდასაჭერად სამთავრობო და საფინანსო უწყებებში, ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებში არსებული პროგრამებისა და პროექტების შესახებ. ყოველივე ეს კი მეწარმეებს კონკურენტუნარიანობის გაზრდასა და ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო სივრცის პირობებში ჩამოყალიბებულ ახალ მარეგულირებელ გარემოსთან ადაპტირებაში ეხმარება.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და დამსწრე საზოგადოებას კითხვებზე ამომწურავი პასუხები გაეცა. მეწარმეებმა ყურადღება გაამახვილეს თხილისა და თაფლის წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ერთხმად აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტში ნატურალური თაფლის რეალიზაციის პრობლემაა და საკითხის მოგვარების მიზნით დახმარება სავაჭრო- სამრეწველო პალატის წარმომადგენლებს სთხოვეს. ემზარ ღვინიანიძემ მეწარმეებს დახმარება აღუთქვა და დასძინა, რომ აღნიშნულ პრობლემას შესაბამის უწყებებში აუცილებლად დააყენებს.

შეხვედრას მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **ჯაბა ბერაძე,** გამგებლის წარმომადგენლები და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხარაგაულის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის თანამშრომლები(სამსახურის უფროსი **ბონდო კიკნაველიძე)** ესწრებოდნენ.

ᲔᲙᲐ ᲨᲐᲕᲘᲫᲔ

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲛᲐ ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲤᲔᲠᲛᲔᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲔᲡ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სააგენტოს წარმომადგენლებმა ადგილობრივ ფერმერებთან და სოფლის მეურნეობით დაინტერესებულ პირებთან შეხვედრა გამართეს, რომელსაც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე **თემურ ჩხეიძე** და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხარაგაულის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის თანამშრომლები და სამსახურის უფროსი, **ბონდო კიკნაველიძე,** ესწრებოდნენ.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოოპერატივების სააგენტოს მიზნობრივი პროექტების სამსახურის უფროსმა, **დავით მამუკელაშვილმა,** ფერმერული კოოპერატივების შექმნის უპირატესობებზე ისაუბრა დადამსწრე საზოგადოებას „მაღალმთიან რეგიონებში საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების პროგრამა“ გააცნო. მისი ინფორმაციით, მაღალმთიან სოფლებში მეცხოველეობის განვითარებისთვის ახალი სახელმწიფო პროგრამა დაიწყო, რომელიც მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და მათ კეთილდღეობას შეუწყობს ხელს. პროგრამის ფარგლებში რაციონალურად და სწორად მოხდება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების გამოყენება. ამ მიზნით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, რომელთა წევრების რაოდენობა არანაკლებ 11 მეპაიეს შეადგენს და მფლობელობაში არანაკლებ 200 სული ფური ან დეკეული გააჩნიათ, 25 წლიანი იჯარით გადაეცემათ სათიბ-საძოვრები და 200 ათასი ლარის ღირებულების ტექნიკა და სხვა საჭირო საშუალებანი. კოოპერატივებს ერთ სულ ფურზე ან დეკეულზე არანაკლებ 0,5 და არაუმეტეს 2 ჰექტარი სათიბი გადაეცემა, ხოლო საძოვრის ფართობი - ერთ სულ ფურზე ან დეკეულზე არანაკლებ 1 და არაუმეტეს 2 ჰექტარი.

„ამ პროგრამაში, რომელიც დაიწყო მთავრობის ინიციირებით, ძალიან კარგად და ზუსტადაა შეფასებული ის საკითხები, რომელიც სჭირდება მაღალმთიან რეგიონებში სოფლის მეურნეობის განვითარებას. სახელმწიფო ყველანაირ დახმარებას უწევს კოოპერატივებს და ყველა იმ ტექნოლოგიით ხდება აღჭურვა, რაც მათ განვითარებისთვის ესაჭიროებათ,“ - აღნიშნავს დავით მამუკელაშვილი.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოოპერატივების სააგენტოს მიზნობრივი პროექტების სამსახურის უფროსი ამბობს, რომ ამ ეტაპზე ქვეყნის მასშტაბით 1 300 კოოპერატივზე გაიცა დაფინანსება. „მთავრობა მოსახლეობას ძალიან კარგ პროექტებს სთავაზობს. ამ ეტაპზე დაფინანსდა 400 მეფუტკრე კოოპერატივი, რომლებსაც გადაეცათ სკები, (30%-იანი თანადაფინასებით) თაფლის საწური, 200 ლიტრიანი ავზები თაფლის შესანახად და სხვა საჭირო ნივთები. რძის გადამამუშავებელი საწარმოები და მეღვინეობის კოოპერატივები სრულად აღიჭურვა საჭირო ტექნიკით. მეცხოველეობის კუთხით შარშან რძის ცხრა გადამამუშავებელი ქარხანა დაფინანსდა“, - დასძენს ბატონი დავითი.

აღსანიშნავია, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი ეს არის ორგანიზაციული ფორმა, რომლის ინტენსიური განვითარება პრაქტიკულად 2013 წლიდან დაიწყო. წამოწყებები ადრეც იყო ამ მიმართულებით, მაგრამ არ არსებობდა პროცესის მხარდასაჭერი საკანონმდებლო ჩარჩო და პოლიტიკური ნება, რომ ამ პროცესს განვითარება ჰქონოდა. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ კანონი 2013 წლის 12 ივლისს იქნა მიღებული და ეს საფუძვლად დაედო შიდასამეწარმეო ურთიერთობების მოწესრიგებას, რაც დაკავშირებულია კოოპერაციულ მოძრაობასთან. საქართველოს მთავრობამ კოოპერატივების ეს მოდელი ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით შექმნა.

ᲚᲔᲚᲐ ᲒᲣᲒᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი **ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ: ᲔᲙᲐ ᲨᲐᲕᲘᲫᲔ; ᲢᲔᲚ.: 595-51-98-12**